პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ხუთშაბათი, 29 იანვარი 1925 წ.
წელიწადი მეხუთე
ფასი 3 კაპ.

# წითელი არმიელი

№ 21 (709) 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი
რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა ტელ. 2—24
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც' ნომპარელის სტრიქონ
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## საერთაშორისო რევოლიუციის ძალები იზრდება.

ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენ ვამჩნევთ ერთგვარ ეკონომიურ გაუმჯობესებას კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ბურჟუაზიამ შესძლო თავის მეურნეობის ცოტათი აღდგენა და აღორძინება. მაგრამ თუ დაუკვირდებით ამ „აღდგენას" და ღრმად ჩავწვდებით მის გამომწვევ მიზეზებში, ჩვენ დავინახავთ, რომ ის შორსაა ნამდვილ ეკონომიურ აღდგენასთან, რომ ის მოჩვენებითია და მეტი არაფერი. ამას ბურჟუაზიამ მიაღწია არა იმით, რომ სავსებით აღადგინა საწარმოო ძალები და იპოვა სათანადო ბაზარი, არამედ მუშათა კლასის მეტი გაყვლეფის საშუალებით.

მაგალითისათვის ავიღოთ ინგლისის ბურჟუაზია, მისი შემოსავალი ამ უკანასკნელ ხანებში გაიზარდა იმიტომ, რომ ის ადიდებს სამუშაო დღეს, ამცირებს სამუშაო ქირას და ამოკლებს მუშების რიცხვს წარმოებაში. ერთი სიტყვით ინგლისის კაპიტალისტი იძენს ახალ კაპიტალს მუშათა მდგომარეობის მატერიალური მდგომარეობის გაუარესების ხარჯზე. დღეს ინგლისში ერთ მილიონ ნახევრამდე უმუშევარია. და ეს უმუშევრობის კრიზისი გრძელდება დღიდან იმპერიალისტური ომის გათავებისა. ამიტომაც ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ბურჟუაზია გამოვიდა ეკონომიურ კრიზისიდან და მოაგვარა თავისი მეურნეობის საქმე სრულიად, ტყუილი აზრია და სინამდვილეს არ შეეფერება. ნამდვილათ კი, ეს კრიზისი უფრო ღრმავდება, რადგან მისი გამომწვევი მიზეზები ცოცხლობენ და ვითარდებიან. ამის საუკეთესო მაგალითია ინგლისის მუშათა მოძრაობის გამოღვიძება.

ინგლისში ამ უკანასკნელ ხანში დიდათ გაიზარდა უმცირესობათა მოძრაობა. რა მოძრაობაა ეს და რა მიზანს ემსახურება ის?

წინად, ინგლისში მუშათა მოძრაობა სრულიად არ იყო რევოლიუციონური. ის გამოიხატებოდა მხოლოდ წვრილი ეკონომიური მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის ბრძოლაში. ამ მოძრაობას მეთაურობდენ შემთანხმებელი ბელადები, რომლებიც დიდ სამსახურს უწევდენ ბურჟუაზიას, პროლეტარიატის გაყვლეფის საქმეში.

ისინი სცდილობდენ მუშების ასცდენას რევოლიუციონურ ბრძოლის გზიდან და მათი კაპიტალის ერთგულ მონებად გადაქცევას. ამას თან უწყობდა ხელს მაშინდელ ობიექტიური პირობები. ინგლისის კაპიტალი ყვლეფდა თავის კოლონიებს და დიდი შემოსავალი ჰქონდა. ასე რომ უმუშევართა რიცხვი თვით ინგლისში ძლიერ ცოტა იყო და მუშების მატერიალური მდგომარეობასაც არა უშავდა. მაგრამ ომმა ყველაფერი თავდაყირა გადაატრიალა. როგორც ზევით ვსთქვით დღეს ინგლისის ბურჟუაზია უსაზღვროდ ყვლეფს პროლეტარიატს და უკიდურეს მდგომარეობაში აყენებს. გაჭირვებამაც და შიმშილმა ინგლისის მუშებსაც აუხილა თვალები.

ისინი თანდათან გრძნობენ კლასობრივი ბრძოლის აუცილებლობას ბურჟუაზიის წინააღმდეგ და თანდათანობით დგებიან რევოლიუციონური ბრძოლის გზაზე, რაც გამოიხატა ზემოხსენებულ უმცირესობათა მოძრაობაში.

უმცირესობათა მოძრაობა მომხრეა მთლიანი მუშათა ფრონტის და კაპიტალის შეტევის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისა. ამ მოძრაობას დიდის გააფრთებით ებრძვიან ბურჟუაზია და სოციალ-გამყიდველები, მაგრამ ამაოთ. ამ დღეებში დამთავრდა უმცირესობათა კონფერენცია, რომელზედაც მონაწილეობა მიიღო 600 დელეგატმა, რომლებიც წარმოადგენდენ 600.000 მუშას. მათ მიიღეს ერთხმად რეზოლიუცია მთლიანი ფრონტის საჭიროებისა და კაპიტალის შეტევის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ყოველივე ეს საუკეთესო მტკიცებაა იმის, რომ მსოფლიო მუშათა მოძრაობა იზრდება და ფართოვდება. ის იზრდება თვით კონსერვატიულ ინგლისშიაც. ამიტომ კაპიტალიზმის გამაგრებაზე ზედმეტია ლაპარაკი.

ის დასნეულდა მოურჩენელი ავადმყოფობით და მისი მკურნალი მხოლოდ სიკვდილია.

## მოულოდნელი გაფიცვები ინგლისში.

ლონდონში სამშაბათს მოულოდნელად იფეთქა ელექტრო ტეხნიკების, ბუკინგამის სასახლის და საპარლამენტო შენობათა მუშების გაფიცვებმა. გაფიცვების მიზეზია პროფკავშირებს გარეშე მყოფ პირების სამსახურში მიღება.

## მოითხოვენ ხელფასის გადიდებას.

ინგლისის მემანქანეთა კავშირმა მოაწყო მრავალი მიტინგები, რომლებზედაც წამოაყენეს მოთხოვნილება ერთი გირვანქა სტერლინგის მომატების შესახებ თვიურ ხელფასზე.

## პროფკავშირთა მთლიანობის მტრები.

შვეიცარიის კომუნისტებმა გამოაქვეყნეს მოწოდება შვეიცარიის მუშებისადმი. მოწოდებაში გამოთქმულია პროტესტი შვეიცარიის პროფკავშირთა საბჭოს ალმასკომის გამოსვლების წინააღმდეგ. საქმე ეხება კომუნისტის მიერ გამოქვეყნებულ წერილს ამსტერდამის ინტერნაციონალის პრეზიდიუმის სახელზე.

ამ წერილში კომიტეტი ეხება ინგლისის დელეგაციის მოგზაურობას საბჭოთა კავშირში და მსოფლიო მუშათა კონგრესის მოწვევას. ის აცხადებს, რომ შვეიცარიის კავშირი არ მიიღებს მონაწილეობას მსოფლიო კონგრესში, რომელმაც უნდა აღადგინოს საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობა. კომიტეტი იმუქრება კიდეც ამსტერდამის ინტერნაციონალიდან გამოსვლით.

შვეიცარიის კომპარტია ამბობს, რომ კომიტეტს არ აქვს ასეთი განცხადებით გამოსვლის უფლება.

## ყვითლებს აშინებს წითელი პროფკავშირთა ფერი.

ასეთივე ტონით არის დაწერილი აბრამოვიჩის წერილი, რომელიც მოთავსებულია გერმანულ ჟურნალ სოციალისტიში ბოტენში". აბრამოვიჩი სწერს:

„მე ვფიქრობ, რომ რუსეთის პროფკავშირთა შესვლა ამსტერდამის ინტერნაციონალში სასტიკ ლახვარს ჩასცემს საერთაშორისო პროფესიონალურ მოძრაობას. ჩვენ მსოფლიო პროლეტარიატი უნდა ავაშოროთ ასეთ ცდებს. საეჭვოა ევროპის სოციალისტები მხარს დაუჭერენ ჩვენ თვალსაზრისს თუ არა.




სურათი, რომელიც განმარტებას არ საჭიროებს.

## საცდელი ნაბიჯი.

ცენტრის გაზეთმა „გერმანია"-მ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიაც ის მხარს უჭერს საფრანგეთ—გერმანიის ხელშეკრულებას ურთიერთ-უზრუნველყოფის თავდებობის შესახებ.

როსტას კორესპონდენტის ცნობით არ განუხილავს საკითხი ასეთი შეთანხმების შესახებ. თუმცა „გერმანია"-მ მოათავსა ეს წერილი პირადი თაოსნობით, მაგრამ აქ ყურადღებით უკვირდებიან, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა მან უცხოეთში. აზრი ასეთ შეთანხმების შესახებ არავითარ კონკრეტ ფორმაში ჯერ არ ჩამოყალიბებულა.

## ჩხრეკა ქაირში.

ქაირში პოლიციამ გაჩხრიკა მრავალი პოლიტიკური მოღვაწენი, რომლებიც ემხრობოდენ ნაციონალისტების პარტიას; გაჩხრიკეს აგრეთვე ხელმძღვანელ ნაციონალისტურ ორგანიზაციის თავმჯდომარე.

## მელას რაც აგონდებოდა, ის ესიზმრებოდაო.

თითეული ჩვენი მიღწევა, თითეული ჩვენი გამარჯვება ცხადია დიდ აღშფოთებას და ბრაზს იწვევს კონტრ-რევოლიუციის ბანაკში. ყველა ჯურის რეაქციონური პრესა მყისვე ასტეხავს ერთ განგაშს და დაიწყებს ღრიალს წითელი საფრთხის შესახებ.

ამჟამად მათ არ ასვენებს საფრანგეთის მთავრობის გადაწყვეტილება ვრანგელის მიერ წაყვანილი ფლოტის დაბრუნების შესახებ საბჭოთა კავშირისათვის.

ჩვენმა წარმომადგენლებმა უკვე დაათვალიერეს ეს გემები და სულ ადრე ხანში ისინი დაუბრუნდება მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას. ამ ამბავმა თავზარი დასცა ყველა იმათ, ვინც კიდევ ვერ შერიგებია საბჭოთა კავშირის არსებობას და მტრულ პოლიტიკას აწარმოებს მის წინააღმდეგ

უპირველეს ყოვლისა ამ ამბით აღშფოთდა რუმინეთი, რომელმაც მორთო ყვირილი იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი ამ ფლოტს გამოიყენებს მის წინააღმდეგ და მოახდენს მასზე თავდასხმასო. ნათქვამია „მელას რაც აგონდებოდა ის ესიზმრებოდაო". ეს სიტყვები სწორედ რუმინეთის მთავრობის „შიშზე" ითქმის.

თვითონ რომ არის მტაცებელი, მყვლეფელი და გაიძვერა, ისეთი გონია სხვებიც. ან უკეთ რომ ვსთქვათ მას სურს მოაჩვენოს საბჭოთა კავშირი მტაცებელ ქვეყანათ. ტყუილი ოინებია. მუშურ-გლეხური ხელისუფლება არავის თავზე არ ესხმის, მხოლოდ არც არავის თავის უფლებების შელახვის ნებას არ მისცემს. ჩვენ სრულიადაც არა გვაქვს აზრად ვისმეს წინააღმდეგ გავილაშქროთ. პირიქით მთელი ჩვენი ძალღონე მიმართულია იქითკენ, რომ ხელი შეუწყოთ მშვიდობიანობას და ზავს.

და თუ რუმინეთი და სხვა მისი თანამოაზრენი, როგორც ინგლისის რეაქციონური ბურჟუაზიაა დორბლ მორეული გაჰკივიან წითელი საფრთხის შესახებ, ამით მათ სურთ ხელი შეუშალონ ამ გემების დაბრუნებას რადგან თუ დადგა ასეთი დრო ისინი თავს დაგვესხმებიან და ჩვენ არ გვეყოლება სათანადო თავდაცვა. აი რატომ სწუხს ეს ვაჟბატონები. მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება მათი კამპანია ჩვენს წინააღმდეგ.

ერთი ინგლისური რეაქციონური გაზეთი სწერს, რომ გემების დაბრუნების წინააღმდეგ ოსმალეთიც არისო, ვინაიდან ისიც ხედავს ამაში საფრთხესო. ჩვენს მტრებს სურთ გადაგვკიდონ ოსმალეთთან.

მაგრამ რამდენიც არ უნდა იხტუნონ ვერაფერს ვერ გახდებიან, და როგორც თვით საფრანგეთის ერთი ბურჟუაზიული გაზეთთაგან ლაპარაკობს „საბჭოთა ხელისუფლებას ვერავითარი ძალა ვერ შეუშლის მიიღოს ვრანგელის მიერ გატაცებული გემები". ჭეშმარიტად რომ ასეა.

როგორც ყოველთვის ჩვენი მტრები სახტად დარჩებიან.

—ე.

## მეტად გულგრილად.

საფრანგეთის პრესა და პოლიტიკური წრეები მეტად გულგრილად შეხვდენ ზოგიერთი გაზეთების მიერ გამოთქმულ აზრს საფრანგეთ-გერმანიას შორის დადებულ ურთი-ერთ უზრუნველყოფის თავდებობის შესახებ. პოლიტიკური წრეები ერთხმად აღიარებენ, რომ ასეთი ხელშეკრულება სრულიად უნაყოფო იქნება, ვინაიდან გერმანია ყველაზე უფრო დაამტკიცებდა თავის მშვიდობიან ზრახვებს ვერსალის ხელშეკრულების ასრულებით, რომელშიაც ის, საფრანგეთის წრეების აზრით, სისტემატიურ საბოტაჟს უცხადებდა.

---

## ფინეთის-საბჭოთა კონფერენცია კონტრაბანდთან ბრძოლის საკითხების შესახებ.

გაიხსნა ფინეთ-საბჭოთა კონფერენცია.

კონფერენციის მიზანია გამოიმუშაოს ზომები კონტრაბანდის წინააღმდეგ შეთანხმებული ბრძოლისთვის

---

## ლენინის დღეები.

### შვეიცარიაში.

### „ლენინიზმი სცოცხლობს“

შვეიცარიის კომპარტიამ მოაწყო ბაზელში სამგლოვიარო კრება ლენინის გარდაცვალების წლის თავზე.

კომპარტიამ გამოაქვეყნა შვეიცარიის პროლეტარიატის მიმართ მოწოდება შემდეგი ლოზუნგით: „ლენინი მოკვდა, მაგრამ ლენინიზმი სცოცხლობს“.

### ამერიკაში.

უორკერს პარტიამ ლენინის გარდაცვალების წლის თავზე მოაწყო მასიური მიტინგები ამერიკის სხვა და სხვა ქალაქებში.

მექსიკის კომპარტიამ ჩაატარა მექსიკაში მიტინგი ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად.

პარტიაში ჩაეწერა მუშების დიდძალი რაოდენობა.

### ინგლისში.

ლენინის კვირეულში ბრიტანეთის კომპარტიამ ჩაატარა მთელ ინგლისში 50 მასიური მიტინგი.

მიტინგების ჩასატარებლად შეკრებილ იქნა ყველა პარტიული ძალები.

## კაპიტალიზმის კრიზისი და საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა.

### ამხ. რაკოვსკის მოხსენება.

**ამხ. რაკოვსკიმ წაიკითხა მოხსენება თემაზე — „კაპიტალიზმის კრიზისი და საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“.**

„დოუესის გეგმამ—განაცხადა მან—ნახევრად გადასჭრა საერთაშორისო დიპლომატიის ერთ-ერთი საჭირბოროტო საკითხთაგანი—რეპარაციებისა და საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობის შესახებ. გასულ წელს მოკავშირეთა კონფერენციამ ლონდონში აღნიშნა პრაქტიკული ღონისძიებანი დოუესის გეგმის განხორციელებისათვის. პარიზის კონფერენციამ კი გაანაწილა გერმანიიდან მიღებული გადასახადები მოკავშირე სახელმწიფოებს შორის.

პირველ შეხედვით კაპიტალისტური ქვეყნები თითქმის აყვავების პერიოდში არიან. კაპიტალისტური ქვეყნების მდგომარეობა ძლიერ შეირყა ომის შემდეგ. ვაჭრობა შეჩერდა, ხალხის მასებში სჭარბობდა ეგრედ წოდებული დემო-



ამხ. რაკოვსკი.

ბილიზაციური განწყობილება, რამაც გამოიწვია გაფიცვები და კაპიტალისტური ქვეყნების საერთო პანიკა (შიში). მაგრამ თანდათან შენელდა ეკონომიური კრიზი. კაპიტალიზმმა თითქოს მოიშუშა ომის მიერ მიყენებული იარები. ეს ასე იქნებოდა, რომ ამასთან ერთად ჩვენ არ გვქონებოდა საწინააღმდეგო ხასიათის საბუთები.

აქ ამხ. რაკოვსკის მოჰყავს ადგილები ინგლისის გაზეთებიდან, რომლებიც მოწმობენ იმას რომ კაპიტალისტური მეურნეობა დიდ კრიზისს განიცდის. მაგალითად „დეილი გერალდში“ მოყვანილია ცობა, რომ უმუშევრობა 1-ლ იანვრისთვის მეტად გაიზარდა და ითვლება უკვე 1.307.000 უმუშევარი, რაიც მეტად საგრძნობი რიცხვია გასულ წელთან შედარებით.

უმუშევრობა ინგლისში მუდმივი, უცვლელი მოვლენაა. ინგლისი საგარეო ვაჭრობაშიც დიდ კრიზისს განიცდის. საქონლის შეტანა გაცილებით სჭარბობდა (344 მილიონი გირვანქა სტერლინგით) უცხოეთში საქონლის გატანას.

მწვავდება მდგომარეობა შრომისა და კაპიტალს შორის. კაპიტალიზმმა თავისი კრიზისი არამც თუ დასძლია, არამედ პირიქით ის გამწვავდა და დიდ განხეთქილებებს უქადის. კაპიტალისტურ ქვეყნების ეკონომიური მონაპოვარი დროებითი ხასიათს ატარებს. ტერიტორიალური საკითხების გარშემო დავამ გაჰყო ხალხები ორ ბანაკად: გამარჯვებულებად და დამარცხებულებად. ამ გაყოფაში იმალება მომავალ ომების და კონფლიქტების სერიოზული საშიშროება.

აზიაში ეკონომიური ხასიათის მიზეზების გამო, ძლიერი მოძრაობაა დიდი სახელმწიფოების კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ. აზიისა და აფრიკის ხალხები დაჟინებით მოითხოვენ სრულ დამოუკიდებლობას საერთაშორისო კაპიტალისაგან.

კაპიტალიზმი არაჩვეულებრივ მუშაობას აწარმოებს ტეხნიკის გაუმჯობესების საქმეში და ეძებს ახალ ბაზრებს. ბაზრების გარშემო ბრძოლა ადრე თუ გვიან გამოიყვანს კაპიტალისტურ სახელმწიფოებს წონასწორობიდან. უმნიშვნელო საბაბს შეუძლია ყოველწუთს დაარღვიოს კაპიტალისტების თანხმობა. ამიტომ როცა გვესმის უამრავი განცხადება იმის შესახებ, რომ საერთო მშვიდობიანობა განმტკიცდა, ჩვენ ვკითხულობთ: აშორებულია თუ არა მიზეზები, რომლებიც იწვევდენ წინად საერთაშორისო უთანხმოებას?—არა ეს მიზეზები არ არიან თავიდან აცილებული, არამედ გაღრმავებული არიან თანამედროვე კაპიტალიზმის განვითარების გამო.

თავის მოხსენების მეორე ნახევარში ამხ. რაკოვსკი ლაპარაკობს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ კაპიტალისტურ რკალში. ის ჩერდება საბჭოთა კავშირის დამოკიდებულების სხვა და სხვა საფეხურებზე კაპიტალისტურ ქვეყნებთან და ამბობს, რომ კაპიტალისტების პირდაპირი ინტერესები მოითხოვენ აღადგინონ ნორმალური მდგომარეობა ბურჟუაზიულ ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირს შორის. ამასთან საბჭოთა მთავრობას არც გადაუხვევია და არც გადაუხვევს ოქტომბრის მონაპოვართა პრინციპებს.“

საბჭოთა მომუშავეების ლონდონის ჯგუფმა მოაწყო ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად საზეიმო კრება, რომელზედაც წარმოთქმულ იქნა რამოდენიმე სიტყვა ლენინისა და ლენინიზმის შესახებ.

## სპარსეთ-საბჭოთა საფოსტო-ტელეგრაფო ხელშეკრულება.

მეჯლისმა დაამტკიცა სპარსეთ-საბჭოთა საფოსტო-სატელეგრაფო ხელშეკრულება.

---

## მოძველებული ჩვეულება.

გილიანის პროვინციის სამხედრო გუბერნატორმა, თავისი უფლებით, აკრძალა ერთი უძველეს ბატონყმური ჩვეულებათაგანი, რომლის ძალით გლეხებს არ ჰქონდათ ცოლის შერთვის უფლება მემამულეების ნებართვის დაურთველად.

## ბოლშევიკური გამოსავალი ომიდან და ამხ. ტროცკის გზა.

### რა უთანხმოება ჰქონდათ ბოლშევიკებსა და ამხ. ლენინინს ამხ. ტროცკისთან 1914 და 1917 წლებს შორის.

1914 წლის ომმა მთელი მსოფლიო ააფორიაქა. მთელი ქვეყნის სოციალისტები დიდი ხნიდან მოელოდენ ამ ომს და უწოდეს მას ყაჩაღური ომი, რომელიც სწარმოებს განსაკუთრებით ბურჟუაზიის ინტერესთა სასარგებლოდ.

მაგრამ როცა იფეთქა ომმა, ყველა ძველი ლაპარაკი და ომის საწინააღმდეგო ბრძოლისთვის მოწოდებები მივიწყებულ იქნა. სოციალისტები, რომლებიც უწოდებდენ თავის თავს მუშათა კლასის მიმხრეებსა და ბელადებს, მიემხრენ ბურჟუაზიას და ეხმარებოდენ მას მუშათა კლასის გაბრიუებაში ბრძოლის ცეცხლით.

რატომ მოხდა ასე? საქმე ის არის, რომ სოციალისტური პარტიები შეჩვეული იყვნენ მშვიდობიან გარემოებაში მუშაობას. ისინი არ აწარმოებდენ ნამდვილ რევოლიუციონურ ბრძოლას. მათში თანდათანობით შედიოდა სხვადასხვა გზით იმ დროს ძლიერი ბურჟუაზიის გავლენა. ეს პარტიები თანდათანობით გარდაიქმნენ ბურჟუაზიასთან მებრძოლ მშრომელთა ბელადებიდან—ბურჟუაზიულ მონებად და მშრომელთა გამყიდველებად.

ყველაფერი ეს აშკარა გახდა ომის დასაწყისშივე, როცა საჭირო იყო სასტიკ ბრძოლაზე გადასვლა ბურჟუაზიასთან. მუშათა ყოფილმა ბელადებმა არამც თუ ვერ შესძლეს ასეთი ბრძოლის მოწყობა, პირიქით, ისინი ყოველმხრივ ბიძგავდენ მშრომელებს ჯოჯოხეთური ომის ცეცხლში და არწმუნებდენ მათ, რომ ომი სწარმოებს მთელი ხალხის ინტერესთა სასარგებლოდ. ხოლო მარტო ბოლშევიკური პარტია ამხ. ლენინის მეთაურობით დარჩა ერთგული ბურჟუაზიის წინააღმდეგ დაუზოგავი ბრძოლის ანდერძებისა. ამხ. ლენინი მიუთითებდა ომის მტაცებლურ ხასიათზე და მოუწოდებდა მუშებს აჯანყებულიყვნენ ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელმაც დაიწყო ეს ომი, და გადაექციათ ეს ყაჩაღური ომი, სამოქალაქო ომად კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ამხ. ლენინი მოუწოდებდა ესარგებლად ომით და დაემხობათ კაპიტალიზმი. ამხ. ლენინი მიუთითებდა მუშათა კლასის ყოფილი ბელადების ღალატზე და ლაპარაკობდა, რომ ისინი უნდა განიდევნონ მუშური ოჯახიდან, თორემ მუშათა კლასი ვერას დროს ვერ გაუსწორდება ბურჟუაზიას.

ამხ ლენინი ამბობდა, რომ ომამდე არსებულ მუშათა საერთაშორისო ამხანაგობას ანუ მეორე ინტერნაციონალს, რომელიც შესდგება მუშათა კლასის ასეთი გამცემლებისაგან, არ შეუძლია უხელმძღვანელოს მუშათა კლასის ბრძოლას მთელ ქვეყნებში.

ამისათვის შექმნილ უნდა იქნას თავდადებულ მებრძოლთაგან შემდგარი ახალი მსოფლიო ორგანიზაცია ანუ მესამე ინტერნაციონალი, რომლის ხელმძღვანელობით მთელი ქვეყნების მუშები აწარმოებენ ბრძოლას ბურჟუაზიის დასამხობად.

ამრიგად ამხ. ლენინი და ბოლშევიკები მოუწოდებდენ კავშირის გაწყვეტისაკენ შეთანხმებლებთან, ვინაიდან ისინი ხელს უწყობდენ მუშების ომში ჩათრევას ბურჟუაზიის სასარგებლოდ. ამხ. ლენინი მოუწოდებდა ყველა გაბედულებს, მუშათა კლასის გულწრფელ მომხრეებს, რომლებიც მზათ იყვნენ ბოლომდი ებრძოლათ ომის წინააღმდეგ და მიეღწიათ მთელი ძალღონით მუშათა კლასის ბურჟუაზიაზე გამარჯვებამდე.

ამ დროს იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც უწოდებდენ თავის თავს მუშათა კლასის მომხრეებს და რომლებიც არც იქეთ და არც აქეთ იმყოფებოდენ. ისინი ფიქრობდენ, რომ არ არის კარგი მონაწილეობის მიღება მძარცველ ომში. მაგრამ მათ ვერ გაებედათ მათი მოღალატეებად გამოცხადება, ვინც ძალით ითრევდა მუშებს ომში, და ეუბნებოდა მათ, რომ ომი მუშების სასარგებლოდ სწარმოებსო. ისინი ვერ ბედავდენ მოწოდების გამოშვებას—გადაექციათ იმპერიალისტური ომი სამოქალაქო ომად, ლენინის მიერ წამოყენებულ ასეთ ლოზუნგს ისინი გიჟურს უწოდებდენ.

მაშასადამე, სიტყვიერად ცნობილი იყო, რომ 1914 წლის ომი მუშათა კლასის სასარგებლო არ არის, არამედ ის არის ბურჟუაზიის ინტერესთა სასარგებლოდ, მაგრამ საქმით კი არავითარ ბრძოლას არ აწარმოებდენ ისინი ამ ომის წინააღმდეგ.

ბოლშევიკები და ლენინი მოუწოდებდენ ასეთი ადამიანების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. ისინი თავის ლაყობით ვერაფერს აკეთებენ, არამედ აბრუებენ სიტყვებით მუშათა შეგნებას, ხოლო მანამ კი მშრომელთა მთავარი მოღალატეები განაგრძობენ თავიანთ შავ საქმეს.

ყველა მერყევების, ვინც შუა გზაზე შესდგა და არ მიდიოდენ არც მარჯვნივ და არც მარცხნივ, ხოლო ნამდვილად კი ეხმარებოდენ გამცემლებს, ყველა ამით წინააღმდეგ ბოლშევიკები აწარმოებდენ არა ნაკლებ გააფთრებულ ბრძოლას, ვინემ აშკარა მტრების წინააღმდეგ.

ბოლშევიკები ამბობდენ:—აშკარა მტრების გამოაშკარავება უფრო ადვილია, ვინემ ამ მერყევ ადამიანების, რომლებსაც ასეთ სერიოზულ დროს ვერ გამოუტანიათ გადაჭრით რაიმე გადაწყვეტილება.

იმ პირთა შორის, რომლებსაც ეჭირათ ასეთი შუა-პოზიცია, იმყოფებოდა აგრეთვე ამხ. ტროცკიც. ბოლშევიკებსა და ლენინს მოუხვდათ მიეთითებიათ ამხ. ტროცკის შეცდომებზეც.

1917 წლის რევოლიუციამ და შემდეგმა ბრძოლამ დაგვანახა, რომ მხოლოდ ბოლშევიკური გამოსავალი ომიდან გამოდგა სწორი. ამხ. ტროცკი იძულებული იყო ეცნო თავისი შეცდომები.

1917 წლის ივლისში ამხ. ტროცკი შედის ბოლშევიკურ პარტიაში, მონაწილეობას ღებულობს პარტიასთან ერთად ოქტომბრის რევოლიუციაში და სამოქალაქო ომში რესპუბლიკის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს თავმჯდომარეობის თანამდებობაზე.

ამ მუშაობაში ტროცკიმ ბევრი სარგებლობა მოუტანა პარტიას და მუშურ-გლეხურ ქვეყანას. მაგრამ ყველაფერი სასარგებლოს ტროცკი აკეთებდა მხოლოდ მაშინ, როცა ის მიდიოდა პარტიასთან შეთანხმებულად, როცა ის მთლიანად და სავსებით მიყვებოდა ლენინს.

ყოველთვის, როცა ამხ. ტროცკი სცდილობდა წასულიყო თავის გზით, ის კვლავ შეცდომებს უშვებდა და ეწეოდა პარტიას მრუდე გზისაკენ.

შემდეგში ვილაპარაკებთ იმაზე, თუ ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ როგორ სურდა ამხ. ტროცკის გამოესწორებია პარტიის გეზი და როგორ სცდებოდა ის ამაში.

ს. კრუგლიკოვი.

„კრასნი ვოინი“




# ლენინის გარდაცვალების ერთი წლის თავი არტლეგიონში.

ამ დღის აღსანიშნავად ჩვენს ლეგიონში წინდაწინვე შეუდგენ მზადებას, რომელიც უმთავრესად გამოიხატებოდა წითელ არმიელთა მომზადებაში, რათა მათ სათანადოთ ეგრძნოთ და შეეგნოთ უდიდესი ბელადის ლენინის მოძღვრება და მის (ლენინის) დაკარგვის სიმძიმე.

ჩვენმა პოლიტშემადგენლობამ ეს შესძლო და წითელ არმიელები სრულიად შეგნებულად შეხვდენ ამ დღეს.

21 იანვარს საღამოს ლეგიონის კლუბში შესდგა საერთო კრება ლენინის გარდაცვალების ერთი წლის თავის აღსანიშნავად.

მოხსენებებით გამოვიდნენ: ლეგიონის სამხედრო კომისარი ამხ. ფოფხაძე და ნარკომფინის წარმომადგენელი.

მომხსენებლები უმთავრესად აღნიშნავდენ ლენინის დაუღალავ და მიზანშეწონილ მუშაობას რევოლიუციისათვის და შემდეგ ჯამს უკეთებდენ კომპარტიის ერთი წლის მუშაობას ულენინოდ.

„ლენინი და ახალგაზრდობის" შესახებ ილაპარაკა ამხ. მამალაძემ. მან უამბო არმიელებს, თუ როგორ უყურებდა ლენინი ახალგაზრდობას და რა იმედებს ამყარებდა მათზე, თუ კი ისინი (ახალგაზრდობა) სათანადო აღზრდას მიიღებდენ. ილაპარაკეს წითელ არმიელებმაც.

დამსწრე წითელ არმიელებმა მხედრული ფიცი დასდვეს ერთგულად დაიცვან მათი საყვარელი ბელადის, ლენინის მიერ დატოვებული გზა და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლონ მის ანდერძების საბოლოო განხორციელებამდის.

კრების შემდეგ წავიდა პიესა და ამხ. ფოფხაძის ინსცენიროვკა. წარმოსთქვეს ლექსებიც.

სამხკორი ლ—ო.

დაესწრო წარმოდგენას. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე ანტირელიგიურმა პიესამ „სულის მამამ". განზრახული გვაქვს ეს პიესა დავსდგათ სხვა და სხვა სოფლებში.

დ- ჯანკვეტაძე.

# ლენინის კუთხე გავაუმჯობესეთ.

ქართულ მეთაურთა სამხედრო სკოლის, ცხენოსან განყოფილების ლენინის კუთხე, ძლიერ ჩამორჩენილი იყო სხვა განყოფილების კუთხეებთან შედარებით. ხშირად გვესმოდა ამის გამო საყვედურები, მაგრამ მიუხედავათ ძლიერი მონდომებისა მაინც ვერ შევსძელით კუთხის დაყენება თავის სიმაღლეზე. ამას ჰქონდა თავისი გასამართლებელი მიზეზები. უმთავრესად საქმეებით დატვირთვა და სრულიად დროს უქონლობა. მეორე მიზეზი იყო აგრეთვე ის, რომ განყოფილების უფროსი კურსი, მ. ხანს გადარიცხეს ასეულებში, რამაც ძლიერ დაქსასა ჩვენი ძალები. კუთხის მომწყობ კომისიაში კი უმთავრესად უფროსი კურსელები შედიოდენ. ისინი იყვნენ აგრეთვე კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიაშიც. ცხადია მათი დაქსაქსვის შემდეგ დროებით უნდა შეჩერებულიყო მუშაობა.

ამ ჟამად განყოფილების საქმე ცოტა მოწესრიგდა. არჩეული იქნა ლენინის კუთხის მომწყობი ახალი კომისია და სარედაქციო კოლეგია.

მიუხედავად დროის უქონლობისა 21 და 22 იანვარს, სათანადოთ გაჩაღებული კუთხით შევხვდით. გამოვიდა კედლის გაზეთის სადღესო ნომერიც.

ამ ჟამად კუთხეში არსებობს შემდეგი განყოფილებები. კომინტერნის, კომკავშირის, სამხედრო და პოლიტიკური. თებერვალში განზრახულია ახალი მორიგი ნომერი კედლის გაზეთის გამოშვება. იმედი გვაქვს ამ მხრივ განყოფილება ჩქარა სავსებით მოწესრიგდება.

სამხკორი უსუფ,

# ჩვენი ტერ-ნაწილების ცხოვრებიდან.

### 6-სე ტერ-ლეგ. 9-რე ასეული.

ჩვენი ასეული დღემდე ძლიერ ცუდ პირობებში იმყოფოდა. უმთავრესად ამის მიზეზი იყო ის გარემოება, რომ ცილებული ვართ ცენტრიდან. ამ უკანასკნელ ხანებში რამდენიმედ გამოკეთდა ჩვენი მდგომარეობა- ასეული თანდათ მოწყობა. მოვაგვარეთ სამკითხველოს საქმეც. თითქმის ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს სისტემატიურად ვღებულობთ სამკითხველოშივე მოწყობილი გვაქვს ლენინის კუთხე. წიგნები და პლაკატების მხრივ დიდი ნაკლებობაა კუთხეში. პოლიტ-საათები სისტემატიურად ტარდება. მეცადინეობა სწარმოებს საერთო ინსტრუქციის მიხედვით. არმიელები სრულად ესწრებიან და დიდი ინტერესითაც ისმენენ საუბრებს.

გვყავს 4 წერა-კითხვის უცოდინარი, რომლებთანაც უკვე დაიწყო მეცადინეობა. ასეულში დაწესებულია შემდეგი წრეები: პარტიული, ლიტერატურული, სასპორტო, დრამატიული და სამხედრო. წრეების მეცადინეობას ხელმძღვანელობს ასეულის მეთაურთა შემადგენლობა.

17 იანვარს ასეულის საკუთარი ძალებით გამართული იყო საღამო—წარმოდგენა, დეკლარაციით. ხალხი მრავლად

# როგორ ჩატარდა ლეჩხუმის მაზრაში 1901, 1900 და 1899 წ-ებში დაბადებულთა მიწერა ტერნაწილებზე.

აღნიშნულ წლებში დაბადებულთა ტერ-ნაწილებზე მიწერის ჩასატარებლად, ლეჩხუმის მაზრაში გაემგზავრა მე-5 ლეგ. მე 3 ასეული.

დანიშნულ ადგილზე მისვლისას შეუდექით ბინების მოწყობას, რაშიდაც საკმაო დახმარება აღმოგვიჩინეს ადგილობრივ პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა; ჩვენ ბევრი საქმე შეგვექნა გასაკეთებელი, რადგან თვით მაზრის პასუხისმგებელ ამხანაგებსაც არ ჰქონდათ ნათელი წარმოდგენა ტერ-ნ წილების შექმნის მნიშვნელობაზე, ამის გამო ჩვენ იძულებული შევიქენით გაგვეშუქებია ეს საკითხი ჯერ ხსენებულ ამხანაგებში, რასაც ისინი დიდი აღტაცებით შეეგებენ.

მაზრსამკომის მიერ პირდაპირ გამოკრული იქნა ბრძანებები 1901, 1900 და 1899 წ. დაბადებულთა გამოცხადების და მიწერის შესახებ.

წინასწარ კომპანიების ჩატარებას სრულიად არ აპირებდენ, ამის გამო მივმართეთ პირდაპ მაზრის აგიტ-პროპს და თანვე შევეკითხეთ, თუ რამდენი მომხსენებელი დასჭირდებოდა ზემო ხსენებულ ასეულიდან ტერ-ნაწილების მნიშვნელობაზე კომპანიის ჩასატარებლად და თუმცა გვიან, მაგრამ ზოგიერთ რაიონებში მაინც მოვასწარით წინასწარი კომპანიის ჩატარება.

განმარტების შემდეგ გლეხობა დიდი სიხარულით შეეგება ტერ-ნაწილების შექმნას და იგონებდენ ნიკოლოზის რეჟიმს, როდესაც მათი შვილები მიყავდათ რამოდენიმე წლებით ცივ გუბერნიებში, ეხლა კი ჩვენ სახლში უნდათ შეგვასწავლონ სამხედრო საქმე და ამით არც გლეხის ოჯახს სტოვებენ უპატრონოთ.

აგრეთვე გაკეთებული იქნა მოხსენება აღნიშნულ თემაზე ქ. ცაგერის პარტ-ორგანიზაციების გაერთიანებულ კრებაზე, სადაც ამხანაგები უფრო კარგად გაეცნენ ამ საკითხს. რომ ამ კომპანიებს უნაყოფოთ არ ჩაუვლია, მტკიცდება შემდეგიდან:

მიმწერ კომისიაში დიდი სიხარულით მოდიან ახალგაზრდობა და სურვილს გამოსთქვამენ, რომ მალე იქნეს სამეცადინო შეკრება, რაზედაც ვაძლევთ სათანადო ახსნა განმარტებას.

დასასრულს უნდა აღინიშნოს შემდეგი: მიუხედავათ იმისა, რომ ხსენებულ ასეულს არავითარი დირექტივები არ ჰქონია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჩაგვეტარებია აღნიშნულ წლებში დაბადებულთა მიწერის დროს წინასწარ კომპანიები, ის მაინც საკმაო გამოცდილებით შეხვდა მას და დამაკმაყოფილებლად ჩაატარა მიწერა.

ტბეთელი.

# ოპერებსაც ვისმენთ.

19 იანვარი კარგი დღე გათენდა. დილასვე გავიგეთ, რომ ოპერიდან ბილეთები გამოეგზავნათ არმიელებისათვის.

ზოგიერთი არმიელები დიდათ გააკვირვა ამ გარემოებამ.

—ოპერაშიდაც კი მივდივართ, ოპერაში—მხიარულად გაიძახოდენ ისინი და დიდი სამზადისი შეიქნა.

მოაწია საღამომაც. კამენდანტმა დაგვირიგა ბილეთები და გაუდექით გზას. ბევრს, სოფლებიდან ახლად მოსულ არმიელებს არც კი ენახათ საოპერო თეატრი და გულის ფანცქალით მოელოდენ მის ნახვას.

— ბიჭო, მიტროფან, იქაც წარმოდგენა იქნება?—შეეკითხა თინიაანთ ბაჭუკა ბიჭი მიტრო, რომელიც ოპერის მოსმენის სურვილს ძლიერ გაეტაცა და თავდავიწყებით იქნევდა ხელებს მჭუობრში.—იქნებაო მაშ, ზედაც იმღერებენო, ასე კი ამბობენ... აბა მე როდიდა მინახავს, რომ მეკითხები-პროფესორი ვარ თუ?

მივაღწიეთ... როდესაც თეატრში მაზარები ჩამოგვართვეს და ჩამოჰკიდეს ამან სულ გაამხიარულა არმიელები.

— ბიჭო, მიტრო ჯან, ე ცხენზე, რომ შემჯდარა ის კაცი სად მიფრინავს ჰა?

სად მიფრინავს და ღმერთი უნდა ჩამოაგდოსო.

ეს კი ვიცი, რომ ძველად აი ნიკოლაის დროს, რომ ვყოფილიყავით ჯარში აქ არავინ ჩამოგვიყვანდა. მაზარებიც კი ჩამოგვართვეს. ჰაი დედასა, ვენაცვალე მუშათა მთავრობას—ჩაილაპარაკა ბაჭუა—ბიჭმა და კიდევ აპირებდა რაღაცის თქმას, რომ ფარდაც აიხადა და დაიწყო მოქმედება. მიდიოდა ოპერა „ტოსკა".

ყველას ძლიერ მოეწონა, მხოლოდ თინიაანთ ბაჭუა გზაზე სწუხდა, რომ ვერ გავიგე რას ლაპარაკობდენო.

დიდი მადლობა მსახიობებს, რომელთა ხმებმა ისე დაგვატკბეს იმ ღამეს. იმედია ოპერის ადმინისტრაცია, კიდევ გაგვიმართავს ასეთ რამეს.

წით. არმ. სიმართლის მოყვარული.

# ჩვენი მუშაობა სოფლად.

### მე 6-ე ტერლეგიონი სოფლის შეფია.

6 იანვარს მოწვეული იქნა სოფ. რატევანის გლეხთა საერთო კრება. დაესწრო 200 გლეხი.

სამაზრკომს ახ. ლ. კავშირის პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. შენგელიამ ვრცელი მოხსენება გააკეთა, კომპარტიისა და ახ. ლ. კ. კავშირის წევრთა ამოცანებზე, მათი სოფლად მუშაობის შესახებ

ამხანაგმა გაურკვია გლეხებს, თუ როგორ როლს თამაშობენ ისინი (გლეხები) რევოლიუციის დროს და მოუწოდა მათ მჭიდრო კავშირი დაიცვან ქალაქის მუშებთან და წითელ არმიასთან. ამხ. საერთაშორისო მდგომარეობასაც შეეხო. გაკვრით მრავალი ფაქტებისა და მაგალითების მოყვანით თვალსაჩინოთ გახადა გლეხებისათვის საბჭოთა კავშირის სიმტკიცე და მოღონიერება როგორც სამეურნეო, ისე სხვა ფრონტებზე. შემდეგ ამხანაგმა მოუწოდა სოფლელებს ხელი შეუწყონ ჩვენს ამხანაგებს მათთან მუშაობის დროს, დაეხმარონ მათი პროგრამის გადაცემაში და მათაც ენერგიულად მოჰკიდონ ხელი სოფლად კულტურულ დაწესებულებების გამრავლებას.

— საჭიროა ყველა თქვენგანი გახდეს კოოპერატივის წევრად. მის ხელმძღვანელად ამოირჩიეთ თქვენივე წრიდან პატიოსანი, მუყაითი და ყველას მიერ ნდობით აღჭურვილი პირები. მხოლოდ ასეთები არ გაფლანგავენ თქვენს ქონებას. საბჭოებში გაიყვანეთ კომპარტიის, კომკავშირის და პატიოსანი უპარტიო შრომის მოყვარე გლეხობა—დაათავა მომხსენებელმა თავისი სიტყვა. ამის შემდეგ ჩვენმა ასეულმა აღუთქვა სოფლის გლეხობას შეფობა, რამაც დიდი სიხარული გამოიწვია მათში.

მოხსენების გარშემო უპარტიო გლეხობის მიერ შემოტანილ იქნა წინადადება, სადაც ნათქვამია, რომ ისინი იწონებენ, როგორც კომპარტიის, ისე მუშურ-გლეხური მთავრობის საქმიანობას და იძლევიან პატიოსან მუშურ-გლეხურ სიტყვას, ყოველთვის იქნებიან საბჭოთა ხელისუფლების თავგამომდები დამცველები.

X.

# ამბები სოფლებიდან.

### ცხვრის ფარის დაღუპვა კავთის ხევში.

26 იანვარს დილით სოფ. კავთისხევში, (გორის მაზრა) თოვლის ზვავ ქვეშ მოყვა 300 სული ცხვარი და 2 მწყემსი. ზოგიერთი ცხვარი გადარჩა, მხოლოთ მწყემსების შესახებ ვერაფერი გაიგეს.

### მგლები სოფ. მეტეხში.

გორის მაზრის სოფლებში ძლიერ გახშირდა მგლების თარეში. მხეცები მოურიდებლათ ესხმიან მცხოვრებლებს დღისითაც. სოფ. მეტეხიდან 26 იანვარს. მაგალითად მგლებმა გაიტაცეს რამოდენიმე სული შინაური საქონელი.

### თოვლი რაჭაში.

რაჭიდან მოსული ცნობებით იქ ამჟამად 1 არშინამდე თოვლია. მგლები არაა შემჩნეული და მისვლა-მოსვლაც სოფლებს შორის წესიერია.

### გლეხკომების ყრილობა.

25 იანვარს სიღნაღში შესდგა სიღნაღის სამაზრო გლეხკომების ყრილობა, რომელზედაც, სხვათა შორის, ამორჩეულ იქნენ დელეგატები სრ. საქართველოს გლეხკომების ყრილობისათვის.

# საბჭოთა არჩევნების მსვლელობა.

### დუშეთის მაზრაში.

დიდი ქარბუქის გამო ყველა თემებში ვერ მოხერხდა არჩევნების დაწყება. ზოგიერთ თემებში უკვე მიმდინარეობს არჩევნები.

### ლეჩხუმში.

ლეჩხუმის მაზრაში არჩევნები დაიწყო 26 იანვარს. მაზრა დაყოფილია 14 თემათ. მიუხედავათ დიდი თოვლისა არჩევნების ჩატარება მაინც სწარმოებს.

### ბორჩალოს მაზრაში.

ამინდი კარგია. არჩევნებში მცხოვრებნი დიდის ინტერესით იღებენ მონაწილეობას.

### რაჭაში.

არჩევნები დაიწყო 23 იანვარს. ამინდი ხელს არ შეუშლის არჩევნების მიმდინარეობას. საბჭოთა სამაზრო ყრილობა განზრახულია მოწვეულ იქნეს 10 თებერვალს.

### ზუგდიდის მაზრაში.

ზუგდიდის მაზრიდან მოსული ცნობის თანახმად იქ არჩევნები დაიწყება 29 იანვარს თუ დიდმა თოვლმა არ შეუშალა ხელი. სამაზრო ყრილობის მოწვევა განზრახულია 20 თებერვლისთვის.

### გორის მაზრაში.

გორის მაზრიდან დეპეშით იტყობინებიან რომ იქ მიუხედავად დიდი თოვლისა არჩევნები მაინც წესიერათ მიმდინარეობს. მაზრა დაყოფილია 40 თემათ.

### ტფილისის მაზრაში.

ტფილისის მაზრაში არჩევნები კარგათ მიმდინარეობს. სოფ. დიღომში არჩევნები შესდგა 23 იანვარს. სათემო საბჭოსა და აღმასკომის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა უპარტიო გლეხი.

# გასამართლება ყაზარმაში.

**არტლეგიონის ცხოვრებიდან.**

21 იანვარს არტლეგიონის კლუბში, რევტრიბუნალმა გაარჩია ამავე ლეგიონის სამი წითელ არმიელის საქმე, რომელნიც ბრალდებოდათ დეზერტირობა.

ამ გასამართლებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან პროცესი მოხდა არა ტრიბუნალის ჩვეულებრივ ბინაზე, არამედ ყაზარმაში, სადაც ყველა წითელ არმიელი დაესწრო, და და ბოლომდე მოუსმინა გასამართლების მსვლელობას.

წითელ არმიელებმა სამუდამოდ შეიგნეს რომ, თუ რა ბოროტება და დანაშაულობაა სამხედრო დისციპლინის დარღვევა წითელ ჯარში და თუ ვინმე გაბედავს ამას, მას სასჯელი ხელისუფლება ღირსეულად სჯის.

არ კმარა მარტო ამოკითხვის დროს წაუკითხოთ წითელ არმიელებს, რომელიმე ნაწილის დამნაშავე წითელ არმიელთა განაჩენი.

ყველა ნაწილებში უნდა მოეწყოს ასეთი გასამართლება, რომ თითეულმა წითელ არმიელმა თვითონ მოუსმინოს სასამართლოს სხდომას, რომ გათვალისწინებული ჰქონდეს ყველას, თუ რა სასჯელი მოელის მათ, თუ კი ისინი სამხედრო დისციპლინას დაარღვევენ.

სამხედრო ლ—ო.

# ჩვენი შემოქმედებანი „წითელი შუქი“

1-ლ ლეგიონის სამნეო გუნდის და ცხენოსან მზვერავ მწყობრის გაერთიანებულ კომუჯრედის ღია კრებაზე, არჩეული იქნა სარედაქციო კოლეგია, რომელმაც უკვე გამოუშვა ხსენებულ გუნდების კედლის გაზეთი „წითელი შუქის № 1“ და მიმდინარე კომპანიებთან დაკავშირებით, დამატებითი ფურცელი მუშათა კლასის ბელადის, ლენინის საქმიანობა-მოღვაწეობის აღსანიშნავათ.

გაზეთში ძლიერ შინაარსიანი წერილებია მოთავსებული.

წერილების თითქმის 90 პროცენტი ეხება ნაწილის ყოფა-ცხოვრებას და ადგილობრივად უარყოფით-დადებით მოვლენებს; უმეტეს მათგანი დაწერილია, რიგის წითელ არმიელების მიერ.

გაზეთი აშკარად მოწმობს იმას, რომ მათ კარგად ესმით და გაგებული აქვთ კედლის გაზეთის მნიშვნელობა.

დამატებითი ფურცელშიც საინტერესო ცნობებია მოთავსებული ლენინის მოღვაწეობაზე.

ერთი ნაკლია აღსანიშნავი კედლის გაზეთში: სახელდობრ ის, რომ ზოგიერთი წერილები არ არის დაწერილი ლამაზათ, სურათებით (კარიკატურებით იუმორში) ძლიერ ღარიბია გაზეთი.

ეს დაუშვებელია, რადგან მკითხველის მიმზიდველობისათვის დიდ როლს თამაშობს კარგი კარიკატურა.

სარედაქციო კოლეგია, იმედია კლუბის გამგესთან ერთად, მიიღებს ზომებს რათა კედლის გაზეთის მორიგ ნომერში გამოსწორებული იქნას ეს ნაკლი.

კეთილმსრუველი

# სამხედრო ტრიბუნალში.

**„კარუტოზე“ თავდამსხმელთა საქმე.**

28 იანვარს ტრიბუნალი შეუდგა მოწმეების დაკითხვას. დაკითხულ იქმნა მთელი რიგი მოწმეებისა, მაგრამ მათ შორის ყველაზე უფრო საინტერესო ჩვენება მისცა მოწამე ქალმა თავართქილაძისამ.

აღნიშნული მოწამე, ცოლია ბრალდებული გერასიმე თავართქილაძესი, მაგრამ ამის გარდა ბრალდებულს კიდევ ყოლია სხვა ცოლებიც.

— მე არ ვყავი პირველი და არა ვარ უკანასკნელიო.

გერასიმე თავართქილაძე შეხვედრია მოწამეს, გაუცვნიათ ერთი მეორე და მოსწონებიან. თუმცა კაცი ქალს არ უმალავდა თავის ცოლიანობას, მაგრამ დაარწმუნა, რომ იგი გაყრილი იყო ცოლთან და ხელახალი შეუღლებისათვის, აბა რას უნდა შეეშალა ხელი.

**შორს მჭვრეტელი კაცი.**

მაგრამ თავართქილაძეს სხვა ფიქრები ჰქონდა. იგი ფიქრობდა ახალი ცოლი გამოეყენებია თავისი შავი საქმეებისათვის და მართლაც ერთხელ მან ცოლს დაავალა, რომ ამა და ამ კაცს (მდიდარი თათარი იყო) გაეცანი, გაყევ-გამოყევი და ხელში ჩაგვიგდეო, სამაგიეროთ თვალ-მარგალიტებით დაჯილდოებას ჰპირდებოდა. მეორე თაც დაავალა ვიღაც მეორე მდიდარი თათრის ასე „გაბითურება“.

ასეთი შემთხვევა არ იყო მარტო ერთხელ. ქმარი სისტემატიურათ აძლევდა ასეთი ხასიათის დავალებებს თავის ცოლს. მაგრამ დაპირებულ ჯილდოს არასოდეს არ იძლეოდა და თუ რამ ფული ექნებოდა მას სხვაგან ხარჯავდა. კარუტოზე თავდასხმის ამბავიც ბრალდებულს არ უთქვამა ცოლისთვის. ფული კი, რომელიც მას ხვდა წილათ ვიღაცასთვის ჰქონდა მიბარებული და იქედან ცოლი არაფერს არ ღებულობდა. ასეთმა უდიერმა მოპყრობამ ცოლი მოთმინებიდან გამოიყვანა და მან გასცა თავისი ქმარი

მოწამის დაკითხვა გაგრძელდა დ ახლოებით 2 ნახევარი საათი. დაკითხულ იქნენ აგრეთვე სხვა მოწმეებიც.

დ.

# მეცნიერება და ტეხნიკა.

**ელექტრონ ნაკადის გამცარ მავთულების ქსელის გამოყენება რადიო ცნობების გადაცემისთვის.**

1923 და 1924 წლების განმავლობაში გერმანიის რადიო სადგურები გამუდმებით აწარმოებდნენ ცდებს, რათა თავისი მოქმედება, ისე შეეგუებიათ ელექტრონული ნაკადის გამავრცელებელ მავთულთა ქსელისთვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათი საშუალებით, რადიო ცნობების გადაცემა. ამ მიზნით ვესტფალიაში აგებულ იქნა რადიო სადგური. ამ სადგურით სარგებლობა, სხვა რადიო სადგურებთან შედარებით უფრო ადვილი და მოსახერხებელია, რადგანაც მასთან კავშირის დასაჭერად არაა საჭირო ცალკე ანტენის ამართვა, რომელიც ღებულობს, ელექტრო სადგურის მიერ გავრცელებულ, რადიო-ანდამატურ ტალღებს, არამედ საჭიროა რადიო აპარატის „შტეპსელი“ შეუერთოთ ელექტრონის ნაკადის მომწოდებელ მავთულს და საქმე გათავდა. ეს გარემოება ძლიერ აიაფებს რადიო აპარატებისა და რადიო სადგურების მოწყობის საქმეს.

მთავარ სადგურს, საიდანაც ვრცელდება ცნობები, აქვს მაღალი ანტენა, რომელიც შეერთებულია ელექტრონის მიმწოდებელ მავთულთა ქსელთან და მათი საშუალებით ვრცელდება რადიო ტალღები. კონცერტების, სიტყვებისა და სხვა ცნობების გადაცემა ისევე ხდება, როგორც სხვა რადიო სადგურებში — განსაკუთრებული თვისების აპარატის საშუალებით, რომელიც ადვილად ითვისებს ბგერითი ტალღებს. ამას გარდა რადიო სადგურის ანტენა თვითონვე ღებულებს სხვა სადგურების მიერ გავრცელებულ ტალღებს და ამასაც გადასცემს თავის მხრივ ელექტრონული ნაკადის მიმწოდებელ მავთულების საშვალებით.

ამნაირად ასეთი რადიო სადგურის აბონენტი, დაკავშირებულია სხვა სადგურებთანაც და შეუძლია მიიღოს მათი ცნობებიც. ეს უკანასკნელი კი ძლიერ მნიშვნელოვანია კონცერტების გადაცემისთვის, რადგან შესაძლებელი ხდება სადგურმა ძლიერ გაამრავალფეროვანოს კონცერტის პროგრამა. ცნობების გადაცემისათვის სულ მცირე ენერგიაა საჭირო, ხოლო ბგერები კი მიიღებენ საკმაო გარკვეულობით, ვიდრე უმავთულო რადიო სადგურების საშუალებით ხდება ეს.

**რადიო შუქურა და რადიო ყიბლანი (კომპასი)**

როგორც ცნობილია, რომელიმე რადიო სადგურის მიერ გამოშვებული ტალღები ვრცელდებიან ყოველი მხრით, ერთნაირი ძალით და სისწრაფით. ეს თვისება თავისთავად ძლიერ ღირებულია, მაგრამ როდესაც საჭირო ხდება, ლაპარაკის წარმოება ერთი მიმართულებით და ერთ პიროვნებასთან რადიო სადგურის საშუალებით—ძლიერ დაბრკოლებათ ითვლება. ამ უკანასკნელ ხანებში მრავალი ცდები სწარმოებდა რადიო ტეხნიკაში იმ მიმართულებით, რომ როგორმე აღმოეჩინათ ისეთი საშუალება, რომელიც შესაძლებლად გახდიდა რადიო ტალღების ერთი მიმართულებით მიმართვას. უკანასკნელად ცდა წარმატებით დაგვირგვინდა ინგლისში. აქ უკვე შესძლეს რეფრაქტორის საშვალებით რადიო ტალღების ერთი მხრით მიმართვა. კავშირი დაჭერილი იქნა ზღვაში გასულ ერთ გემის რადიო სადგურთან; გემზე, მოთავსებული იყო ისეთი აპარატი, რომელიც მხოლოდ სადგურის მიერ აღნიშნულ მიმართულებით გაშვებულ ცნობებს იჭერდა.

ამ პრინციპზე ედინბურგის (ინგლისი) ახლოს საგანგებოთ აგეს რადიო შუქურა (მაიაკი): მანათობელ შუქურის მაგიერ, აგებული იქნა რადიო სადგური მბრუნავი ანტენით, რომელსაც თან აქვს რეფრაქტორიც. თითეულ ორ წუთში ანტენა ერთხელ ტრიალდება თავისი ღერძის გარშემო და რეფრაქტორის შემწეობით რიგრიგობით სცვლის თავისი რადიო ტალღების მიმართულებას. (აღმოსავლეთის ან დასავლეთისაკენ). როდესაც ტალღები მიიმართებიან აღმოსავლეთისკენ, რადიო სადგური ყოველთვის უშვებს პირობითი ნიშანს, რომელიც შეეფარდება აღმოსავლეთის მიმართულებას. დასავლეთის მიმართულებას კი სხვა პირობითი ნიშანი აქვს.

ზღვაში გასულ გემს-რადიო მიმღები აპარატით, ამნაირად ყოველთვის შეუძლია გაგნებზე დადგეს შუქურას შესახებ. ამას ხელს ვერ შეუშლის ვერც დიდი მანძლი და ვერც ცუდი ამინდი. ჩვეულებრივი შუქურების დროს კი ეს შეუძლებელია.

**რადიო ყიბლანი.**

რადიო ყიბლანიც სრულიად ამავე პრინციპზეა აგებული: სამოგზავროთ გასული გემზე ათავსებენ ისეთ აპარატს, რომელსაც შეუძლია მხოლოდ, ერთი მიმართლებით გაშვებული ტალღების მიღება. იმ ადგილის რადიო სადგურიდან სადაც გემი მიემგზავრება, უშვებენ ნიშანს (სიგნალს), რომელსაც რეფრაქტორი მიმართავს განსაზღვრული მიმართულებით; ამნაირად გემი უხილავი ხაზებით უკავშირდება საბოლოო პუნქტს. თუ ეს კავშირი დაირღვა—ცხადია, რომ გემი ასცდენია მიზანს და წამსვე შესცვლის მიმართულებას. საჭირო მანევრების მოხდენის შემდეგ, გემი აუცილებლად მოექცევა საბოლოო პუნქტის სადგურის მიერ გამოშვებულ რადიო ტალღების არეში და ამ მიმართულებით შემდეგ გულ დამშვიდებით შეუძლია მგზავრობის გაგრძელება.

# შეცთომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის № 18—ში გაგვეპარა შეცთომა. ამხ. თენგიზ ელენტისადმი მიძღვნილ წერილში სწერია: „... შემდეგ მას ირჩევენ ბათომის მუშათა და გლეხთა, წითელ-არმიელთა და მეზღვაურთა საბჭოს წევრათ“. უნდა იყოს: „... საბჭოს თავმჯდომარეთ“.

# ახალი ამბები.

— **სარაიონო-სამხედრომაგიდების შესანახად.** ტფ. ქალაქის აღმასკომმა დაავალა განსაკუთრებულ კომისიას გამოსძებნონ თანხები ტფილისის სამხედრო მაგიდების შესანახათ.

— **ბრძოლა უბინაობასთან.** მუშათა საბინაო კოოპერატივმა შუამდგომლობა აღძრა ქალ. აღმასკომის წინაშე, რათა დაუთმონ უბინაო რკ გზელებს დარაბები, საცხოვრებელ ბინებათ.

— **წამლეულობის გაიაფება.** ჯანსახკომთან არსებულმა სანიხრო კომისიამ დაამთავრა წამლეულობის ახალი ნიხრის შემუშავება, რომლის ძალითაც წამლები შესამჩნევათ გაიაფებული.

— **ელექტრო მავთული მიწის ქვეშ.** ქალაქის აღმასკომთან არსებულმა განსაკუთრებულმა კომისიამ საჭიროა ცნო ელექტრო მავთული მოძრავ ქუჩებზე გაყვანილ იქნეს მიწის ქვეშ, ნაცვლათ ბოძებზე გაყვანისა.

— **ფასიანი საწოლები.** ცენტრ. საჩვენებელ სამკურნალოებში ფასიან საწოლების მოსაწყობათ ქალაქის აღმასკომმა გაიღო 810 მანეთი.

— **გზების აღსადგენათ.** ტფ. მაზრაში ქარბუქისგან გაფუჭებულ გზების აღსადგენათ ქალ. აღმასკომმა გაიღო 2.112 მანეთი.

# ვინ არის წინააღმდეგი?

ქართ. ცხენ. ლეგ. ბიურო კოლექტივი აცხადებს, რომ ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს აქვთ შემოტანილი განცხადება პარტიაში მიღების შესახებ და მათ შესახებ, თუ ვინმემ რაიმე უარყოფითი იცის შემოიტანოს ზემოხსენებულ ბიურო კოლექტივში.

1. მარგველაშვილი შალვა, 2. ცხაკაია კირილე, 3. სტურუა არკილ, 4. ნოსელიძე ბაგრატ, 5. კობიძე პეტრე, 6. ახობაძე ვლადიმერ, 7. ჩახაია სიმონ, 8. კიკნაძე სიმონ, 9. ხაბეიშვილი ბიქტორ, 10. ახობაძე ვარლამ, 11. ხუჭუ... გრიგორი, 12. ქუთათელაძე კონსტანტინე, 13. მუქერია ნიკოლოზ, 14. გორდეზიანი კონსტანტინე, 15. ღიბრაძე შალვა, 16. დანელია ნესტორ, 17. გაბუნია ვლადიმერ, 18. კობიაშვილი გიორგი, 19. ქაჯაია სერაპიონ, 20. ხაზალია დავით.

ქართ. ცხენ. ლეგ. ბიურო კოლექტივის მდივანი.

ქაჯაია.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე

# განცხადებები.

დღეს, 29 იანვარს, საღამოს 6 საათზე, პოლიტგანყოფილების შენობაში დანიშნულია 1-ლ ქარ. დივ. პოლიტგანყოფილებასთან არსებულ

## საპროგრამო მეთოდიურ კომისიის კრება.

დასწრება შემდეგი ამხანაგების სავალდებულოა: კვერიძაძის, ბაკურაძის, მათითაშვილის, აბულაძის, ბალუაშვილის და აბრამიშვილის.

კომისიის მდივანი რამიშვილი.

---

30 იანვარს (პარასკევს) 18 საათზე წითელი არმიისა და ფლოტის სახლში, მოწვეულია გარნიზონის კავბრიგადის, ქართული დივიზიის, 21 ტფილისის სკოლის, სამხედრო პოლიტიკური სკოლის და მხლებელთა მცირე გუნდის: სამხედრო კომების, პოლიტხელების, ბიურო-კოლექტივების, უჯრედების და აქტიურ პარტიულ მეთაურთა შემადგენლობის—

**ფართე თათბირი.**

კავკასიის წითელ დროშოვან არმიის უფროსის თანაშემწე კრუგლიკოვი.

---

სამნეო—დამხმარე კომისიების თათბირი დანიშნული 28 იანვ. პოლიტ განყოფილებაში, გადატანილია 29 იანვ. წითელ-არმიის და ფლოტის სახლში (ნიკოლაევის ქუჩა № 5ა) დილის 9 საათზე. —

საორგ. საარ. ნაწ. უფრ. ლომაია.

---

პარასკევს 30 იანვ. დილის 11 საათზე ცენტრ. წითელ არმიელთა კლუბში შესდგება სემინარების მორიგი მეცადინეობა. სავალდებულოა დასწრება: კლუბის უფროსების, პოლიტხელების, ბიბ. გამგეების და ასეულის ბიბ. გამგეების.

ხელმძღვანელი ტ. წვენიევი.



სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 8.

ტირაჟი 1200.